



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

39

რუსული გავრცელების ახალი გზა ევროპისაკენ,
უკრაინის გვერდის ავლით – თურქეთზე
პოლიტიკა და პერსპექტივები

ლიანა ჯერკვალიძე

ექსპერტის აზრი



2015



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ლიანა ჯერვალიძე

**რუსული გაზის ახალი გზა ევროპისაკენ,
უკრაინის გვირდის ავლით – თურქეთზე
პოლიტიკა და პერსპექტივები**

39

2015



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2015 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-7723-4

2014 წლის 1 დეკემბერს პრეზიდენტმა პუტინმა თურქეთში ვიზიტის დროს განაცხადა რუსეთის გადაწყვეტილების შესახებ, გააუქმოს სამხრეთის ნაკადის პროექტი, ვინაიდან ამ პროექტს ევროკავშირი მხარს არ უჭერს. პუტინმა ასევე განაცხადა რუსეთისა და თურქეთის სურვილის შესახებ, ააშენონ ახალი 63 მლდ მ³ სიმძლავრის ურთიერთდამაკავშირებელი გაზსადენი, რომელიც „სამხრეთის ნაკადს“ ჩაანაცვლებს, როგორც უკრაინის გაზის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის გვერდის ავლის პროექტი და უზრუნველყოფს თურქეთის დიდი ხნის ოცნებას – გახდეს ევროპის ენერგომომარაგების ჰაბი.

პრეზიდენტ პუტინის ეს განცხადება სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა და ბევრი კითხვაც წარმოშვა იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი სამხრეთის ნაკადის თურქეთზე გადამისამართება და რას მოუტანს ეს როგორც რუსულ და თურქულ, ისე სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

რუსული გაზის ექსპორტის პოზიცია ევროკავშირის ბაზარზე:
2013 წელს გაზპრომმა ევროკავშირის მიანოდა 161 მლდ.მ³ გაზი, რაც ამ უკანასკნელის მოხმარების დაახლოებით 30-32%-ს შეადგენს. აქედან 86 მლდ.მ³ შეტანილ იქნა უკრაინის ინფრასტრუქტურით. რუსეთს ევროპის მიმართულებით აქვს კიდევ სამი მილსადენი – Nord Stream – 55 მლდ.მ³, Yamal – 32 მლდ.მ³ და Blue Stream – 16 მლდ. მ³¹. რუსული და თურქული მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ უკანასკნელის გამტარობა 2020 წლისათვის წლიურ 19 მლდ.მ³-მდე აიყვანონ. ამ მილსადენების მაქსიმალურად დატვირთვის შემთხვევაში, გაზპრომს შეეძლება უკრაინის გვერდის ავლით დაახლოებით 100 მლდ.მ³ გაზი გაიტანოს ევროპაში. თუ ევროპაში გაზის ბაზარი შეინარჩუნა (161 მლდ.მ³ 2013 წელს), ახალი მილსადენის (თურქული ნაკადი?) აშენებამდე 60 მლდ. მ³ გაზის გატანა ისევ უკრაინის ინფრასტრუქტურის გამოყენებით მოუწევს. ოფიციალური ინფორმაციით, „თურქული ნაკადის“ სიმძლავრე 63 მლდ.მ³ უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ გაზპრომს განზრახული აქვს სრულად აუაროს გვერდი უკრაინას.

ამასთან, რუსული გაზის ევროკავშირში ექსპორტის 50%-ზე მეტი (87 მლდ.მ³) თურქეთის გავლით იქნება გატანილი.

ექსპერტთა დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ ევროკავშირი ვერ შეძლებს 2020 წლამდე (შესაძლოა, ვერც 2025 წლამდე) რუსული გაზი 50 და, მით უმეტეს, 100 პროცენტით სხვა მიმწოდებ-

1 www.gasprom.com

ლის გაზით ჩაანაცვლოს და თანაც ალტერნატიული გაზი რუსულ გაზზე უფრო დაბალ ფასად მიიღოს.

სამხრეთის ნაკადის მნიშვნელობა რუსეთისათვის: „სამხრეთის ნაკადი“ იყო გეოსტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი, რომელიც არა მარტო გვერდს აუვლიდა რუსეთისთვის „რთულ სატრანზიტო პარტნიორს – უკრაინას“, არამედ უზრუნველყოფდა რუსეთის ენერგეტიკულ და ეკონომიკურ ექსპანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი ეკონომიკურად (რეალური მშპ – 2,017 ტრილიონი დოლარი)² და სამხედრო თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩება ევროკავშირის (რეალური მშპ – 17,372 ტრილიონი დოლარი)³, მას დასავლეთთან სამხედრო დაპირისპირება და კონფლიქტი ხელს არ უნდა აძლევდეს. თუმცა ზოგჯერ პოლიტიკური გადაწყვეტილებები ლოგიკას არ ექვემდებარება.

„სამხრეთის ნაკადის“ ბლოკირება და „თურქეთის ნაკადის“ განხორციელება სრულიად ახალ რეალობებს ქმნის როგორც ევროკავშირის, რუსეთისა და თურქეთისათვის, ისე კასპიისპირეთის რეგიონისთვის. ეს რეალობები შეიძლება მდგომარეობდეს შემდეგში:

რუსეთის სავარაუდო მოკლევან საშუალოვადიანი ტაქტიკური ამოცანები: თურქეთი ევროკავშირის წევრი არ არის, ამიტომ მასზე მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნები არ ვრცელდება. რუსეთი „სამხრეთის ნაკადის“ თურქეთზე გადამისამართებით ცდილობს თავი აარიდოს მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოქმედებას და შეინარჩუნოს ევროკავშირის ბაზარი შეძლებისდაგვარად მისთვის მისაღებ ფარგლებში, გაამყაროს გეოსტრატეგიული და გეოენერგეტიკული ურთიერთობები თურქეთთან, ხელი შეუწყოს თურქეთსა და დასავლეთს შორის წარმოქმნილი უთანხმოების გაღრმავებას, როგორც ნატოს ფორმატში, ისე ევროგაერთიანების და სავაჭრო ფორმატში, გააღრმავოს ინტერესთა დაპირისპირება თვითონ ევროკავშირის ძველ წევრებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ახალ წევრებს შორის, რომლებიც სამხრეთის ნაკადის გაუქმებით ეკონომიკურად დაზარალდნენ, და გამოიყენოს ეს დაპირისპირება საკუთარი ინტერესებისათვის, მათ შორის – ევროპაში ექსპანსიისთვის.

2 www.statista.com

3 www.nankrate.com

თურქეთის სავარაუდო სტრატეგიული მონახაზი: თურქეთის დიდი ხნის გაცხადებული ამოცანა არის გახდეს ევროკავშირის სრული წევრი, ტრანსატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების სრულუფლებიანი მხარე, ევროკავშირის გაზით მომარაგების ჰაბი, ანუ არა მხოლოდ გაატაროს, არამედ იყიდოს და გადაყიდოს ირანული, აზერბაიჯანული, თურქმენული, ჩრდილოეთ ერაყის და ახლა უკვე რუსეთის გაზი. ჩამოთვლილი სავარაუდო მიმწოდებლებიდან ყველაზე სანდო, როგორც რესურსული ბაზის, ისე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით,⁴ არის რუსეთი, მით უმეტეს, თუ ლაპარაკია არსებული რესურსების უკრაინული სატრანზიტო მიმართულებიდან გადამისამართებაზე.

თურქეთის მოკლე- და საშუალოვადიანი ტაქტიკური ამოცანები – რუსეთთან სტრატეგიული დაახლოების აფიშირებით დასავლეთის ყურადღება მიიპყროს გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

ოფიციალური მედიის და წყაროების მიხედვით, თურქეთი უკმაყოფილოა იმით, რომ მიუხედავად რამდენიმე ათეული წლის ასოცირების შეთანხმებისა, ვერ ხდება ევროკავშირის სრული წევრი, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები არ მიმდინარეობს თურქეთის, როგორც ნატოს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის მქონე ქვეყნის ინტერესების სრული გათვალისწინებით და, პირიქით, ეს პროცესები შეიძლება სწორედ მის წინააღმდეგ შემობრუნდეს. ამასთან, თურქეთი არ არის მინვეული მხარედ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აშშ-სა და ევროკავშირს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში.⁵

ევროკავშირის გაზით მომარაგების „ჰაბობა“, ანუ „სამხრეთის ნაკადის“ გადამისამართება თურქეთს როგორც დასავლეთისთვის (ევროკავშირი, აშშ), ისე აღმოსავლეთისათვის (კასპიისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი და თავად რუსეთი უმნიშვნელოვანესი ძალის პოზიციაზე გაიყვანს). რუსეთისთვის კი „სამხრეთის ნაკადის“ არსებული სახით შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან შეთანხმებები დადებულია იმ ფორმით, როგორიც უზ-

4 რუსეთისა და თურქეთის ინტერესები სრულად ემთხვევა ერთმანეთს შავი ზღვის რეგულირების და ამ სივრცეში უსაფრთხოების საკითხებში.

5 2015 წლის იანვრის შუა რიცხვებში კარლ ბილტისა და ჰავიერ სოლანას მიერ გამოქვეყნებულ ღია წერილში მითითებულია აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებში თურქეთის ჩართვის აუცილებლობაზე.

რუნველყოფს რუსეთის გავლენის გაზრდას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში. თურქეთთან ენერგეტიკული ურთიერთობების ახალი ფორმატი კი მისი საგარეო ურთიერთობების სრულ რევიზიას მოითხოვს, რაც ვერავინ იტყვის, თუ როგორი შედეგით დასრულდება. ამასთან თურქეთი, როგორც აზერბაიჯანისა და ირანის გამოცდილება აჩვენებს, არ არის მარტივი სავაჭრო და სატრანზიტო პარტნიორი.⁶

რაში მდგომარეობს „თურქეთის ნაკადი“ – ეს გულისხმობს 4 პარალელური მილის⁷ აშენებას შავი ზღვის ფსკერზე, რუსეთის ნაპირიდან თურქეთის ევროპულ ნაწილამდე. იგი არ უერთდება დაგეგმილ ტანაპის – TANAP გაზსადენს, რომელიც სამხრეთის გაზის კორიდორის ნაწილია და რომელმაც აზერბაიჯანული გაზი უნდა მიანოდოს ევროპას. „თურქეთის ნაკადის“ გამტარობა 63 მლდ.მ³ უნდა იყოს. პირველი 15 მლდ.მ³ გამტარობის მილის გაყვანა 2016 წლის დეკემბერში უნდა დასრულდეს. გაზპრომს ამ რაოდენობის გაზის გაყიდვა თურქეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში თავისუფლად შეუძლია. თუმცა დანარჩენი 45 მილიარდი მ³-ისა ევროპაში გაუჭირდება, იქ სათანადო ინფრასტრუქტურა არ არის და მის აშენებას გაზპრომი არც აპირებს⁸. ამიტომ, როგორც რუსული მხარე აცხადებს, თუ ევროკავშირს რუსული გაზის მიღება სურს, ინფრასტრუქტურის შექმნაზე თავადვე უნდა იზრუნოს.

„სამხრეთის ნაკადის“ „თურქეთის ნაკადად“ გადაქცევა სრულიად ახალ ვითარებას ქმნის როგორც რუსეთისა და თურქეთისათვის, ისე უკრაინისა და ევროკავშირისათვის.

უკრაინა – გაზპრომის კონტრაქტი ნაფტოგაზთან გაზის მიწოდების და ევროპაში გაზის ტრანზიტის შესახებ 2019 წელს იწურება. მხარეები არ ანარმობენ მოლაპარაკებებს გაზის მიწოდების და ტრანზიტის შესახებ. ამდენად, თუ ახალი კონტრაქტი არ დაიდო, უკრაინის გვერდის ავლა ბუნებრივად მოხდება. უკრაინა დაკარგავს რუსული გაზის ტრანზიტს და მასთან ერთად ზემოქმედების ბერკეტს რუსეთზე.

6 თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის გაზის ფასის შესახებ მოლაპარაკებები ორი წლის, 2008-2010 წწ., განმავლობაში მიმდინარებდა, თურქეთი მუდმივად ითხოვს მომწოდებლისგან (რუსეთი, ირანი) გაზის ფასის დაკლებას.

7 გაზპრომი აპირებს გამოიყენოს „სამხრეთის ნაკადისთვის“ გამზადებული მილები.

8 www.caspianbarrel.org, Michael Korchemkhin, East European Gas Analysis

აღმოსავლეთ ევროპის სატრანზიტო ქვეყნები – რუსული გაზის ტრანზიტის დაკარგვა და სატრანზიტო შემოსავლების დაკარგვა: გაზპრომს მილსადენების გამოყენების ან გადახდის შესახებ ე.წ. *use or pay* ვალდებულება აქვს ევროკავშირის ყველა სატრანზიტო ქვეყანასთან, რომელზეც გადის რუსული გაზი⁹. ამ კონტრაქტების ძირითადი ნაწილი ძალაშია 2025 წლამდე, რაც უკრაინას საშუალებას აძლევს ივარაუდოს, რომ რუსული გაზის ტრანზიტი მისი ტერიტორიის გავლით 2025 წლამდე გაგრძელდება.¹⁰ თუმცა აქ საგულისხმოა, რომ გაზპრომს ეს კონტრაქტები და მათგან მომდინარე ვალდებულებები გათვალისწინებული ექნება, ვინაიდან „სამხრეთის ნაკადზე“ მუშაობა 2006 წელს დაიწყო.

გაზპრომს „სამხრეთის ნაკადის“ განხორციელების შემთხვევაშიც მოუხდებოდა სლოვაკეთის და შესაძლო სხვა სატრანზიტო ქვეყნების გაზსადენების გამოუყენებლობის გამო *use or pay*-ს¹¹ პირობით პირგასამტეხლოს გადახდა. სავარაუდოა, რომ გაზპრომი „სამხრეთის ნაკადის“ დატვირთვას უკრაინის და სლოვაკეთის მიმართულებით არსებული სატრანზიტო კონტრაქტების ვადის ამონურვის პარალელურად გაზრდიდა.

გაზის ტრანზიტის სეზონური რეგულირება: უკრაინის სატრანზიტო მიმართულება იდეალურია რუსული გაზის ევროკავშირში გასატანად უკრაინაში არსებული არა მხოლოდ გაზსადენების ინფრასტრუქტურის, არამედ გაზსაცავების გამოც¹².

გაზის ექსპორტის სეზონური რეგულირებისათვის „ცისფერი ნაკადით“ ან „სამხრეთის ნაკადით“ გაზპრომს რუსეთის სამხრეთ ნაწილში აქვს განთავსებული 5 მლდ.მ³-ზე მეტი შემცველობის გაზსაცავები კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეში. ამას გარდა, გაზპრომს სრულ (0,2 მლნ მ³) ან ნაწილობრივ (4,5 მლდ.მ³) მართვაში აქვს აღებული გაზსაცავები ჰოლანდიაში, გერმანიაში,

9 What Are the big European Suppliers Going to Do to Model Their Supply to European Market? Tatiana Mitrova, Head of Oil and Gas Department, Energy Research Institute of RAS, Vienna, January 29, 2014

10 Michail Korchemkin, “Can Russia, Ukraine and EU Reach a Gas Agreement?” East European Gas Analysis, Malvern, Pennsylvania, USA, Carnegie Endowment for International Peace, Washington DC, October 2013

11 *use or pay* გულისხმობს მილსადენების გამოუყენებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდას, ამასთან განსაზღვრულია მინიმალური სიმძლავრე, რომელზე ნაკლები სიმძლავრის გამოყენების შემთხვევაშიც მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო.

12 უკრაინა-სლოვაკეთის საზღვარზე უკრაინას აქვს 30 მლდ. მ³ გაზსაცავები, დიდი შემცველობის გაზსაცავებია სლოვაკეთშიც.

იტალიაში, ჩეხეთსა და სერბეთში¹³. სავარაუდოა, რომ გაზპრომს „სამხრეთის ნაკადის“ ფორმატში ჰქონდა იჯარით აღებული ზემოთ აღნიშნული გაზსაცავები, რადგან უკრაინის და სლოვაკეთის გაზსაცავებზე გათვლას ველარ გააკეთებდა¹⁴. ამიტომ თურქეთზე გადამისამართების შემთხვევაში პრობლემად დარჩება სახმელეთო გაზსადენების სტატუსი, მიმართულება და გაყიდვის ადგილი და არა – გაზსაცავები.

თურქეთის ოფიციალური წყაროების ცნობით, თურქეთი აპირებს თავისი სატრანზიტო პოტენციალი – მილსადენების გამტარობა – 110 მლდ მ3 აიყვანოს, რაც ტანაპის გარდა კიდევ ერთი ან ორი მილსადენის აშენებას გულისხმობს¹⁵. ამასთან, თურქეთს შესაძლებლობა ექნება მოიზიდოს საერთაშორისო დაფინანსება (რუსეთისგან განსხვავებით).

თურქეთი ევროკავშირის მომარაგების ჰაბი, ტექნიკური ასპექტი: იმისათვის, რომ თურქეთი ევროკავშირის გაზის ჰაბი გახდეს, უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე პირობას: ჰქონდეს დიდი სიმძლავრის გაზსადენების ინფრასტრუქტურა, მნიშვნელოვანი სიმძლავრის გაზსაცავები და მყიდველები და გამყიდველები უნდა შეთანხმდენენ თურქეთზე, როგორც გაზის ყიდვა/გაყიდვის ადგილზე, რაც სათანადო სავაჭრო ფინანსური პლატფორმების არსებობასაც გულისხმობს თურქეთში. თურქეთი დღეს არც ერთ ამ პირობას არ აკმაყოფილებს და მნიშვნელოვანი დრო, ენერჯია და ფინანსური რესურსები იქნება საჭირო იმისათვის, რომ თურქეთი ევროკავშირის გაზის ჰაბის კონდიციამდე მივიდეს.

თურქეთი – ევროკავშირის მომარაგების ჰაბი, გეოპოლიტიკური ასპექტი: თურქეთი დიდი ოცეულის წევრი მზარდი ეკონომიკის და რუსეთის შემდეგ მეორე სამხედრო ძალის მქონე რეგიონული ქვეყანაა. იგი აწარმოებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას და ცდილობს საკუთარი ინტერესები გაიტანოს როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთ მძლავრ პარტნიორზე მთელი ახლო აღმოსავლეთის, რუსეთის და კასპიისპირეთის რესურსების ტრანზიტის მინდობა და ჰაბად ჩამოყალიბება შეიძლება სამომავლოდ მნიშვნელოვან რისკებს შეიცავდეს. თუმცა შესაძლოა თურქეთი მისაღებ და სანდო მომრიგებელ-შუამავალ ძალადაც

13 www.gasprom.com

14 ვინაიდან სამხრეთის ნაკადი ორივეს გვერდს აუვლიდა, რაც, ბუნებრივია, მათ უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

15 Turkey's Role as a Mega Energy Hub, Natural Gas Europe, www.naturalgaseurope.com 22 December 2014

ჩამოყალიბდეს რეგიონში, თუ იგი გახდება ევროკავშირის სრული წევრი და თავის შიდა ბაზარზე დანერგავს მესამე პაკეტით გათვალისწინებულ რეგულაციებს¹⁶.

რუსეთ/თურქეთის ენერგეტიკული ალიანსი, თურქეთის სრული წევრობა ევროკავშირში: ევროკავშირში ეკონომიკური რეცესიას, თურქეთი კი ეკონომიკურ ზრდას და სტაბილურობას აჩვენებს. თურქეთის ენერგეტიკულ ჰაზად გადაქცევა საინტერესო იქნება ევროკავშირისათვის, თუ ის ევროკავშირის სრული წევრი გახდება, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით (ჰარმონიზაცია, მესამე პაკეტი და ა.შ.). ამასთან, ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში, ის ვერ იქნება მეორეხარისხოვანი წევრი ქვეყანა, ის იქნება როგორც მოსახლეობიდან, ისე ეკონომიკიდან და სამხედრო სიძლიერიდან გამომდინარე, რიგით მეორე თუ არა, მესამე ქვეყანა. ასეთ შემთხვევაში თურქეთი ევროკავშირის შიგნით გადანყვებილებზე გავლენას მოიპოვებს. აქამდე ამას ეწინააღმდეგებოდნენ ევროკავშირის წამყვანი (გერმანია, საფრანგეთი) ქვეყნები.

თურქეთს აინტერესებს აგრეთვე გახდეს ტრანსატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების მონაწილე მხარე (მოლაპარაკებები მიმდინარეობს აშშ-სა და ევროკავშირს შორის).

ამდენად, რუსეთ-თურქეთის დაახლოების სტრატეგიულ პარტნიორობად ჩამოყალიბება დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად მიიღებს თურქეთს თანასწორუფლებიან პარტნიორად დასავლეთი, ატლანტიკის ორივე მხარეს. ამიტომ სავარაუდოა, რომ თურქეთი რუსეთთან დაახლოების შესაძლებლობას დასავლეთზე გავლენის იარაღად იყენებდეს ისევე, როგორც „თურქეთის ნაკადის“ წამოწევას – „სამხრეთის ნაკადის“ არსებული ფორმატით განხორციელებისათვის.

„სამხრეთის ნაკადის“ თურქეთზე გადამისამართების შესაძლო შედეგები სამხრეთის გაზის დერეფანზე

სამხრეთის ნაკადი არ იყო გათვლილი ახალ რესურსულ ბაზაზე, მას იგივე რესურსები უკრაინის გვერდის ავლით უნდა მიეტანა ევროკავშირის ბაზარზე. ამიტომ აზერბაიჯანული მხარე ამ პროექტს კონკურენტულ პროექტად არ განიხილავდა. თუ სამხრე-

¹⁶ ევროკავშირთან სრული წევრობის საშუალებით, რის შემდეგაც მისი შიდა რეგულაციები თურქეთის ენერგეტიკულ სექტორზეც გავრცელდება, თურქეთის ნაკადი რომ აშენდეს, რუსული გაზი ისევე შავ ზღვაზე შეიზღუდება.

თის ნაკადი თურქეთის გავლით იმავე ფორმატში დარჩა (მხოლოდ უკრაინაზე გამავალი ნაკადები გადაამისამართა), იგი ვერ იქნება სამხრეთის გაზის კორიდორის კონკურენტული, რომელიც ახალ რესურსულ ბაზაზე არის გათვლილი და თეორიულად ევროპის გაზის მოპოვების შიდა წყაროების დაცემის შედეგად წარმოქმნილი მზარდი დეფიციტი უნდა შეავსოს. ამიტომ ამ დეფიციტის შესავსებად აზერბაიჯანული, ირანული და/ან თურქმენული გაზის გარკვეულ რაოდენობაზე მოთხოვნა ევროკავშირის ბაზარზე მაინც იქნება (თუ ევროკავშირის გაზის ბაზარზე მოთხოვნა არსებულ დონეზე მაინც იქნა შენარჩუნებული).

ამასთან, სავარაუდოდ, „თურქეთის ნაკადის“ წინსწრებით განხორციელება თუ არ შეაფერხებს, შეანელებს მაინც თურქმენული ან/და ირანული გაზის ჩართვას სამხრეთის გაზის კორიდორში. რაც, რასაკვირველია, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, ინტერესებზე უარყოფითად აისახება.

ასევე საყურადღებოა, რომ „სამხრეთის ნაკადის“ ახალი ვარიანტი, ე.წ. „თურქეთის ნაკადი“, ევროკავშირში უნდა შევიდეს იმავე თურქეთ-საბერძნეთის გზით, ისევე, როგორც აზერბაიჯანული, ირანული, ჩრდილოეთ ერაყული ან თურქმენული გაზი. საბერძნეთში კი ბოლო არჩევნებში ევროსკეპტიკურმა მემარცხენე პარტიამ გაიმარჯვა, რაც ბევრ კითხვას ბადებს საბერძნეთის ევროკავშირში დარჩენასთან თუ არა, მის საიმედო სატრანზიტო პარტნიორობასთან დაკავშირებით.

გარდა საბერძნეთის გზისა, გაზის ეს ნაკადი შეიძლება გადასროლილ იქნეს ბულგარეთის გავლითაც ე.წ. ნაბუქო ვესტის (Nabucco West) ტრასით ავსტრიის ბაუმგარტენერამდე. ამგვარად, თურქეთ-საბერძნეთის საზღვრიდან გაზი შეიძლება გადასროლილ იქნეს როგორც ტაპის – TAP – ტრანსადრიატიკული გაზსადენის, ისე ძველი ნაბუქო ვესტის (Nabucco West) ტრასით. ან შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ბულგარეთ/თურქეთის დამაკავშირებელი ე.წ. დასავლეთის მილსადენი, რომლითაც რუსული გაზი მიენოდება სტამბოლის აგლომერაციას, რასაკვირველია, ამ მილსადენის რევერსირების შემთხვევაში, ვინაიდან არსებულ ფორმატში (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) ამ მილსადენის გამოყენებას ვადა 2022 წელს ეწეება.

როგორც თურქეთის ოფიციალური პირები იუწყებიან, ტანაპი და აზერბაიჯანთან სტრატეგიული პარტნიორობა პრიორიტეტულად რჩება თურქეთისათვის. ამასთან, აშკარაა და სწრაფი

ტემპებით მიმდინარეობს აზერბაიჯანის დაახლოება რუსეთთან, რომელიც 2012 წელს დაიწყო.

ბულგარეთი, როგორც „სამხრეთის ნაკადის“ განხორციელებაში დაინტერესებული მხარე, განაგრძობს მოქმედებას ამ პროექტის გარკვეული ფორმით შესანარჩუნებლად. 2014 წლის 15 დეკემბერს ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი ბოიკო ბორისოვი გერმანიას ეწვია, სადაც გერმანულ მხარეს სთხოვა მხარი დაუჭიროს „სამხრეთის ნაკადის“ განხორციელებას იმგვარად, რომ ბულგარეთი გახდეს რუსული გაზის „ჰაბი“ ევროკავშირისათვის.¹⁷ ამ წინადადებას ჯერ ოფიციალური მხარდაჭერა არ მოჰყოლია, არც რუსეთის მხარის კომენტარები გავრცელებულა. საზოგადოდ, რუსული გაზის ჰაბი – გაყიდვის ადგილი ბულგარეთში ან თურქეთში ზღუდავს რუსეთის სტრატეგიულ ექსპანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, რასაც, გარდა გაზის მიწოდებისა, ემსახურებოდა „სამხრეთის ნაკადი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი იყო „სამხრეთის ნაკადი“ არსებული ფორმით, ბულგარეთსა და თურქეთში ჰაბის გარეშე. ამდენად, „თურქეთის ნაკადის“ შეთავაზებული პროექტი იძულებითი ნაბიჯი უნდა იყოს რუსეთისათვის ევროკავშირის წინააღმდეგობის საპასუხოდ.

თურქეთისათვის ეს შლის ევროკავშირის გაზით მომარაგების ჰაბად ჩამოყალიბების პერსპექტივას.

დასკვნის სახით

ტექნიკური თვალსაზრისით

- „თურქეთის ნაკადის“ აშენება, განსაკუთრებით მისი პირველი და შეიძლება მეორე მილსადენისაც, შესაძლებელია, ვინაიდან „გაზპრომი“ გამოიყენებს „სამხრეთის ნაკადისთვის“ გამზადებულ მილსადენებს, დამატებითი ხარჯების განწვევის გარეშე;
- თურქეთში გაზის ჰაბის ჩამოყალიბებისათვის საკმაოდ დრო, ფინანსები და ძალისხმევა იქნება საჭირო, ამასთან მხარეები (ევროკავშირი და რუსეთი და სხვა მიმწოდებლები) უნდა შეთანხმდნენ თურქეთში გაყიდვის „ჰაბის“ შექმნაზე. ეს პროცესიც დროში ხანგრძლივი და შრომატევადი იქნება;

¹⁷ Natural Gas Europe, www.naturalgaseurope.com

- თურქეთ-საბერძნეთის საზღვრის შემდეგ გაზის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურა არ არსებობს და მისი შექმნა ევროკავშირს თავად მოუწევს, აქედან გამომდინარე ფინანსური ხარჯებით.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით

რუსეთისა და თურქეთის გეოსტრატეგიული და გეოენერგეტიკული დაახლოება:

- ხელს შეუწყობს თურქეთსა და დასავლეთს შორის წარმოქმნილი უთანხმოების გაღრმავებას როგორც ნატოს ფორმატში, ისე ევროგაერთიანების და სავაჭრო ფორმატში, გააღრმავებს ინტერესთა დაპირისპირებას თვითონ ევროკავშირის ძველ წევრებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ახალ წევრებს შორის, რომლებიც სამხრეთის ნაკადის გაუქმებით ეკონომიკურად დაზარალდნენ.
- აზერბაიჯანის და, სავარაუდოდ, კასპიისპირეთის სხვა ქვეყნების ჩართულობა ამ ორბიტაზე სრულიად მოშლის დასავლეთ/აღმოსავლეთის ენერგეტიკული დერეფნის, როგორც რუსული დერეფნის, ალტერნატივის განვითარების პერსპექტივებს ყველა მისი შედეგით.
- რუსეთ-თურქეთის დაახლოების ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიულ პარტნიორობად ჩამოყალიბება საფრთხეს შეუქმნის სამხრეთის ენერგეტიკული კორიდორის ჩამოყალიბებას თურქმენეთის (შესაძლოა ირანის) მონაწილეობით და საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, პოზიციას რეგიონში.
- რუსეთ-თურქეთის დაახლოება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოს გასაბჭოებით დასრულდა. შეიძლება რუსეთ-თურქეთის დაახლოებას და მის გადაზრდას სტრატეგიულ პარტნიორობაში ისევ არასასურველი შედეგები მოჰყვეს. ასეთი სტრატეგიული პარტნიორობის შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობა არსებულ ტერიტორიულ ფარგლებში მხოლოდ აშშ-ისა და ევროკავშირის სრული მხარდაჭერით გახდება შესაძლებელი.

ბიბლიოგრაფია:

1. Katja Yafimava, The Transit Dimension of EU Energy Security, Russian Gas Transit Across Ukraine, Belarus and Moldova, Oxford Institute Energy Studies, 2011
2. What Are the Big European Suppliers Going to Do to Model Their Supply to European Market? Tatiana Mitrova, Head of Oil and Gas Department, Energy Research Institute of RAS, Vienna, January 29, 2014
3. Michail Korchemkhin, "Can Russia, Ukraine and EU Reach a Gas Agreement?" East European Gas Analysis, Malvern, Pennsylvania, USA, Carnegie Endowment for International Peace, Washington DC, October 2013
4. Kemal Kirisci, "Turkey and the Transatlantic Trade and Investment Partnership Boosting the Model Partnership with the United States", The Center on the US and Europe at Brookings, Turkey project policy paper Number 2 • September 2013
5. Turkey's Role as a Mega Energy Hub, Natural Gas Europe, 22 December 2014
6. www.naturalgaseurope.com
7. www.gasprom.com
8. www.eucommission.org